

ქ.თბილისი

2019 წლის 7 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2019 წლის 7 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, სულხან სულხანიშვილი, ლევან ჩიკვაიძე, აკაკი კერესელიძე, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარის ზ. ბაკურაძის განცხადება, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალაღონიას ოქმი, მთავარი მსაჯის შ. თევზაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია და ვიდეომასალა, ამა წლის 3 მარტს, დიდი 10-ს მატჩზე, თბ „არმია“-სა და რუსთავის „ხარები“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

1. რუსთავის „ხარები“-ს მორაგბე გიორგი კოშაძე უხეში თამაშისათვის (იდაყვით კონტაქტი სახის არეში), გაძევებული იქნა მოედნიდან წითელი ბარათით მსაჯის მიერ.

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. სრკ-ს საშეჯიბრო დებულების მე-5 მუხლის 291 პუნქტის გათვალისწინებით, რომლის თანახმად წითელი ბარათის მიმღები მოთმაშე ავტომატურად ტოვებს 1 (ერთი) სათამაშო კვირას, სრკ-ს სადისციპლინო კომისიამ რუსთავის „ხარები“-ს მორაგბეს გ. კოშაძეს არ დააკისრა სრკ-ს სადისციპლინო კოდექსით გათვალისწინებული სხვა რაიმე დამატებითი სასჯელი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/